

72
979

ISSN 0132-5965

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՊԱՐԿՈՒՄԻ



1979 թվականի N 12

ԲԵՆԻՍ

ტრეზილი ჩაი

3. მოკარუშენაო

მაშინ ჩვენი სახელმწიფო ერთი წლისაც არ იყო, მართალია, მეფე ტახტიდან ჩამოვადეთ, მაგრამ ცხოვრება მაინც ჭირდა. ბევრი ფაბრიკა-ქარხანა არ მუშაობდა, მატარებელი კანტი-კუნტად დადიოდა. ორთქლამატები და ვაგონები საკმარისი არ იყო. ბინებში ციოდა, პური ცოტა გამოჰქონდათ გასაყიდად.

იმ გაჭირვებულ დროს ხალხი ყოველი კუთხიდან აკითხავდა ლენინს. მოსკოვში ასეული კილომეტრის სიშორიდან ჩამოდიოდნენ ფეხით, ოღონდაც ლენინს შეხვედროდნენ.

ერთხელ უკრაინიდან წითელი არმიის პოლკების მეთაურები და კომისრები ეწვივნენ ლენინს და იარაღი სთხოვეს.

— სამ მებრძოლზე ერთი შაშხანა მოდის, ვაზნებიც ძალიან ცოტა გვაქვს. აბა, ერთ კაცს ორი სავაზნე რას ეყოფა საბრძოლველად!

ლენინმა გაულისყურით მოუსმინა მოსაუბრეებს, ბლოკოტიზმ რაღაც ჩაინერა, მერე სტუმრების ტანსაცმელი შეათვალიერა და თქვა:

— იარაღს მარაგი ჯერ კიდევ არა გვაქვს. ამიტომ ძალიან ცოტას მოგცემთ. ერთი მოთხარით, ამხანაგებო, ბევრ წითელარმიელს აცვია ქალამენები და შინ-ნაესკოვი ტანსაცმელი!

მეთაურები ასეთ შეკითხვას არ მოელოდნენ.

- რატომ დუმხართ?
- აცვია, ამხანაგო ლენინ, და ძალზე ბევრსაც.
- მამ ტანსაცმელს რატომ არ ითხოვთ?
- უტანსაცმოდ როგორმე შევძლებთ, მაგრამ როცა ჯარისკაცს შაშხანა არა აქვს, ხოლო პოლკს ზარბაზნი, აი, მაშინ კი ძელია ბრძოლა.

— არა უშავს, იმეღს ნუ დაკარგავთ შეძლებისამებრ, იარაღსაც მოგცემთ და ტანსაცმელსაც.

შემდეგ ლენინმა სტუმრებს გამოჰკითხა, როგორ ცხოვრობენ გლეხები როგორ უფლიანი იმ მიწებს, მემამულეებს რომ ჩამოერთვათ. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. დამშვიდობებისას ვლადიმერ ილიას მემ გადაწყვეტილი თქვა:

— სიამოვნებით მოგიწვევით ჩაიზე, ამხანაგებო, მაგრამ სამწუხაროდ შაქარი არა მაქვს. მეთაურებმა გაკვირვებით შეხედეს პროლეტარული რევოლუციის ბელადს. იქნებ არც დაეჯერებინათ, მაგრამ ლენინი ხომ ტყუილს არ იტყოდა. ალბათ, მართლაც არ იყო მოსკოვში შაქარი.

ერთხანს ყველა დუმდა. მერე ერთმა კომისარმა სავივე ჩაინა გახსნა, იქიდან სუფთა ჩავარში გამოკრული ორი ნატეხი შაქარი ამოიღო და ლენინს გაუწოდდა.

— ვლადიმერ ილიჩ, ჩემს დღეში ჩაი არ დამიღვია, არ მიყვარს. აი, ჩემი უღუფა, ინებეთ!

ლენინმა უყოყმანოდ მიიღო საწუქარი. მერე მდი-

ვანი გამოიძახა. სტუმრებს ძალიან გაუკვირდათ, რატომ დასჭირდა სასწრაფოდ მდივანი.

— ცეცხლფარების ბავშვები კვლავ ავად არიან? — ჰკითხა ლენინმა.

— ოდნავ მომჯობინდნენ, ვლადიმერ ილიჩ, მაგრამ ფეხზე მაინც ვერ წამოდგნენ.

— აი, ეს ორი ნატეხი შაქარი მოუტანეთ, გთავაყვად, და უთხარით, რომ ჩემი სტუმრების ნაწუქარია. — შემდეგ იმ კომისარს მიუბრუნდა, რომელმაც შაქარი აჩუქა. — თქვენი კი უნდა დაგეგმებართო, რომ მუშები სურსათით მოვამარაგოთ. გეკონდინებთ, მუშებს ახლა დღეში მხოლოდ ას გრამ პურს ვაძლევთ.

— მე ვერ შევძლებ, ვლადიმერ ილიჩ.

— შეხსძლებთ, უთუოდ შეხსძლებთ. აი, ჩახვალთ ვოლგისპირეთში. იქაური გლეხები ჩემი თანამემამულეები არიან. სთხოვეთ, სურსათით დაეხმარონ ქალაქს. უთხარით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს და არც ვალში დარჩება მათ.

სასკომსაბჭოს მანდალით, რომელსაც ლენინი აწერდა ხელს, კომისარი ვოლგისპირეთის სოფლებში გაემგზავრა. იქ გლეხები შუკრია და უამბო მათ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყო ქალაქები.

სხედან ცხვრისტყაპუჭიანი გლეხები კრებაზე, თუთუნს აბოლოებენ და ეკითხებიან:

- ლენინი როგორ არის?
- სურსათი ხომ არ აკლია?
- მართალია, რომ ლენინი ცივ კაბინეტში მუშაობს?

— ძალიან უჭირს ჩვეს ლენინს. სურსათი ისე ცოტაა ქალაქებში, რომ თვით ლენინიც კი უშაქრო ჩაის სვამს. ხოლო როცა ორი ნატეხი შაქარი აჩუქეს, ისიც კი ავადმყოფ ბავშვებს გაუგზავნა.

კომისრის ნათქვამმა ძალიან ააღელვა გლეხები.

— მე ერთ ტომარა ხორბალს გავგზავნი, — თქვა ერთმა მოხუცმა.

— მე ერთ ბათან ცერცვს ჩამოვალ, — უთხარა მეორემ, რომელსაც უკრძალის ბუნვის ქუდი ეხურა.

— მე კი ორი ტომარა სიმინდს ვიდლევია. — განაცხადა ფარაჯონმა გლეხმა.

ამგვარად თითქმის ყველა გლეხმა გაიღო თავისი წილი სურსათი ქალაქში გასაგზავნად. ხალხი დაიშალა და მალე შეპირებულნი სავსე ტომრები მოიტანეს. კომისართან რამდენიმე გლეხი მოვიდა, ქუდები მოიხადეს, თავდაბლად მიესალმნენ და ქალაქის ფურცელი გადასცეს. პატარა წერილში გლეხები სიხოვდნენ ვლადიმერ ილიას ძეს, გაფრთხილებოდა თავის ფანტონთლობას და მხოლოდ შაქრისანი ჩაი დაელოდა.

„ჩვენი ძვირფასო ვლადიმერ ილიჩ, დაღიეთ ტაბი-



ლი ჩაი, დალიეთ, როგორც გესიამოვნოთ, გინდ და-
შაქრული, გინდ კვინით, ნუ გაიჭირვებთ, ჩვენ სამი
ვაგონი შაქარი შევავროვეთ", — უწერა წერილში.

როდესაც ხორბლით დატვირთული უშელონი ვოლ-
გისპირეთიდან მოსკოვში მოდიოდა, მას მოაბეს შაქ-
რით სავსე სამი ვაგონიც, რომელიც გლეხებმა პირა-
დად ლენინს აჩუქეს.

მოსკოვში დაბრუნებული კომისარი, პირველ ყოვ-
ლისა, კრემლში მივიდა და ვლადიმერ ილიას ძეს გლე-
ხების წერილი გადასცა. კითხულობდა ლენინი ამ წე-
რლს და ხალხის მხურვალე მხარდაჭერით გახარე-

ბული იღიმებოდა. მოისმინა ვლადიმერ ილიას ძემ
თავისი წარგზავნილის ნაამბობი და, მაშინდელივით,
სასწრაფოდ გამოიძახა მდივანი. ახლა კი მიხვდა კო-
მისარი, რატომ გამოიძახა მდივანი, და არც შემცდა-
რა. ლენინმა განკარგულება გასცა, სამივე ვაგონი
შაქარი ბავშვებისათვის გადაეცათ. თავისთვის კვლავ
ერთი ნაჭებიც არ დაუტოვებია.

— შაქარი ბავშვებისათვის აუცილებელია! — თქვა
ვლადიმერ ილიჩმა.

აი, როგორ უყვარდა ლენინს ბავშვები და როგორ
ზრუნავდა მათზე.

ქ. მარტოვიძე
სახელმწიფო მუზეუმი
განმარტება



მეკვლე

წიწი ლალიძე

ნახატები ელჟარ აბოშაძისა

მაშინ ქვეყანაზე სამამულო ომი მიქონვარებდა, არავის უხადისებოდა, მაგრამ ეკემბრის მიწურულს, სოფელში მაინც ყველა შეუდგა საახალწლო სამზადისს.

მართა ბებიამ ამოიკვნესა, მერე შვიდიშვილს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ოჯახში ვაჟკაცი აღარა გვყავს, ჩემო გოგი, მამაშენი ომშია, პაპა დაუძღვრდა, შენ ჯერ პატარა ხარ, წესით მეკვლე მამაკაცი უნდა იყოს, მაგრამ რა გაეწყობა, მე უნდა შევასრულო მეკვლის მოვალეობა.

— ეგ მეკვლე რაღაა და რა უნდა გააკეთოს? — დაინტერესდა გოგი.

ბებიამ აუხსნა, რას ნიშნავდა მეკვლე და ისიც დაწერილებით მოუყვა, რაც ახალწლის დღის მას

ეკვებოდა. მერე ხონჩაზე ჩურჩხელები, გოზინაყო, ღვინო, ნაბუქი და მოხარული ქათამი დააწყია, ხონჩა მაგიდაზე დადგა.

გოგი მთელ ღამეს ძილ-ფიზიზობდა. შესამეჯერ იყიფეს მამლებმა. ჯერ კიდევ ბნელდა, რაცა ფრთხილად წამოგა, პაპის ქულაჯა ჩაიცვა, თავზეც პაპის ბოლონი დაიხურა, კარი უნმაჟორდ გააღო და საგსე ხონჩით გარეთ გავიდა.

ღამით დიდი თოვლი მოსულიყო. ბიჭს ფეხებში მურა გაუბანდა, მაგრამ შალდიც უნმოლ მოიშორა. ჯერ მარანში შევიდა და, რაც ბებიასაგან მოისმინა, ყველაფერი ისე გააკეთა: ქვევრებს გარს შემოლუარა და ღვინის ბარაქა ისურვა, ბოსელსა და საქათმეს კრედი-კრედი ხბოების

და კრუხ-წიწილის სიმრავლე დაუბედა, მერე კო
ოთახის კარს მოადგა და დააკაკუნა:

— ვინ არის?—იკითხა ბებიაშ.

— ასე უთენია სტუმარს რომ არ ველოდით?!

გაოცდა პაპაც და ღოგინიდან წამოიწია.

ამასობაში გოგომ შესამედაც დააკაკუნა, ბე-

ბიამ ხომ თქვა, მევევლე, წესით, კარზე სამჯერ

უნდა დააკაკუნოს ხმისამოუღებლად.

— რომელი ხარ?—ისევ იკითხა ბებიაშ.

— ახალი წელი ვარ, კარი გამიღე!

ბებიაშ კარი გააღო და ამდენი ხნის გულმწუ-

ხარეს—ბავციონა, მერე კარი დახურა და ისევ

დაეკითხა:

— ვინა ხარ?

— ახალი წელი ვარ.

— რა მოგაქვს?

— საქონლის, ცხვრის და კრუხ-წიწილის სიმ-

რავლე. გამიღე კარი!

— კიდევ რა მოგაქვს?

— ხორბლისა და სიმინდის ხეავი, ყურძნის

უხვი მოსავალი, ბოსტნეულის ბარაქა, ჯანმრ-

თელობა, სიკეთე და სიხარული.

— კიდევ რა მოგაქვს?

— კიდევ... კიდევ...— გოგის ახსოვდა, რომ სამ

კითხვაზე უნდა ეპასუხნა, მაგრამ შესამედ რალა

უნდა თქვას? ხელი დაეღადა და ხონჩა ძირს დად-

გა, ჩაფიქრდა...—ჰო! მშვიდობა მომაქვს, ქვე-

ყანაზე რომ აღარ იყოს ომი და ყველა ბავშვს

მამა შინ ჰყავდეს, ცოცხალი ჰყავდეს. მომაქვს

ყველას ბუნდები...— ეს უკანასკნელი სიტყვები

ებოში ძაღლების ღრენა-ბრღვნივამ შთანთქა.

გოგომ ხონჩა აიღო და დაიძახა:

— გამიღეთ ახლა კარი!

ბიჭი ხარხარით შევარდა ოთახში, იცინოდა

დედაც, ბებიაც, პაპაც ხითხითებდა.

ბიჭმა ხონჩა მაგიდაზე დადგა და, დახუთ, ქა-

თამი აღარსად იყო!

— აი, თურმე რაზე ალაგავდნენ ძაღლები!—

თქვა პაპამ.

— ეს ყველაფერი ჩვენი მურას ოინები იქნე-

ბა,—დაუმატა დედამ.

— დამაცადოს, გაისად უკვე დიდი ვიქნები,

ხელი აღარ დამეღებდა და ხონჩას ძირს აღარ

დავდგამ, ვნახოთ რალას მოიპარავს!—დაქანე-

ბით თქვა პატარა მევევლე.



ბაკურიანში

ზალვა შორჩხიძე

მარჯვნივ ვაჟთა გუნდი მოჭკრის,
მარცხნივ ქაღნი მიფრინავენ,
ცა შრიადებს,
უზვად,
უზვად
ჰყრის ფანტელებს—სიფრიფანებს.
ცვივა თოვლი,
თბილი თოვლი,
გაიბუმბლენენ ნაძვის ხენი...
ფრთა შეუსხამთ თხილამურებს,
გაღუქროდეს კორდებს ფრენით!

პევაია ბაღს ათოვს

ზონლო გუმლაძე

ბამბასავით ბარდნის,
პატარა ბაღს ათოვს,
და სარკმლიდან გარეთ
იშზირება დათო.
ვაშიცი, მსხალიც თოვლქვეშ
დაიდევწოლს ღამის,
დაუხრიათ მხრები,
ჩაუქინდრავთ თავი.
დათომ თავის ნებით,
არა ვინმეს თხოვნით
ჩამოზერტყა ხედა
ხეებიდან თოვლი.
გაუზარდათ ნერგებს,
კვდავ გაშაღეს მხრები:
— გადავიხდით სიღით,
როცა გავიზრდებით!





პიონაჩის სიუზიზღა

ნამღვილი აშხაფი

ვლადიმერ ასლავაჯიშვილი

სვლამო ხანი იყო. ღიანამ გაკვირიდეს ბის მოძინებამ დაძთავრა, ფანჯრიდან გაიხედა და შესთხელ ესომი სამი უცნობი კაცი შენიშნა, თითქოს ადგილი ვერ ეპოვათ, წრიადებდნენ. მალე ესთხ ბოლოში — ნახშირბადში გაუიდნენ და შეურნეობის მანდარინის ჰლანტაციისაკენ გასწიეს. რატომღაც ჩქარობდნენ, რამდენიმე წამში გაუჩინდნენ კიდევ.

ომ მხარეს, საითაც სამი უცხო კაცი წავიდა, არავინ არ ცხოვრობდა, არც სამანქანო გზა იყო. თუ მანდარინის მოკრეფა სურდათ, ერთ ცაღსაც ვერ იპოვიდნენ, რადგან სწორედ იმ დღეებში შეურნეობამ მან-

დარინის კრეფა დაამთავრა.

— კარგი სულისხანი არ ჩანან, საჭიროა შესწავრეებს შევტეობინო, — გაიფიქრა ღიანამ და იქით გაიქცა, საითაც შესწავრეთა სავუშავო ეგულებოდა.

შესწავრეებს წამიც არ დაუკარგავთ. დიდმა, მკვლავით უურებდაცქვეტილმა ნაკვამმა მალე მიავსო კვადს. ჰლანტაციამი სამივე უცნობი აღმოჩინა. ისინი სასწვრის დამრღვევები გამოდგნენ.

ქეარე დღეს მთელი სკოლა ღიანასე ღანარეობდა, ეველას სიფსილეს უწონებდა სიარს შესწავრეს და სიამაუთი ამბობდნენ:

— ნახეთ რა ეთანდი გოგო გვეფსო.

სეღვანაურის რაიანის სოფელ კახაბრის საშუალო სკოლის მოსწავლე, მამაცი ზიონერი ღიანა მარგველიანი შესწავრეებს შეაქეს და მჯვის სათით დაჯილდოეს.



მამა და ნათია



გიორგი შიგაური

მამა—მომიქარგა ლამაზი
პირსახოცი ბებიამ,
პირსახოცზე მაღლი
თოვლიანი მთებია,
იქვე ციციქნა ბელურა
კენკავს მარცვალს ქერისას.
დამშეული ყოფილა
პირსახოცის კერვისას.
მე მოგუვლი პატარას,
მე ისეთი ქალი ვარ—
გაგუმზადებ საკენეს და
გაგუმზადებ გალიას.

გასვირნებ მანქანით.
შინ თუ არ დამიშალეს,
თლონდ არკი დამკორტნოს,
სახეს რომ შევიმშრალებ
ნათია—აბა, როგორ დავკორტნის,
ცოცხალი ხომ არ არის?
ეგ არც თქვენი კრუხია.
არც ფხორია მამალი
მამა—გოგო, რაებს იძახი,
შეხედე—რა კარგია,
ცოცხალსა ჰგავს, ბებიას
ისე მიუქარგია.



საახალწლოდ ვინ რა საჩუქარი მოუბანა ბაჯბაჯას?

ნახატი ელშარდ აგმოკაძისა

თოვლის მოლოდინები

ნოღარ ზამანაჲმ

გამოჩარხეთ, გავამზადეთ
ციგები და ციგურები,
ახლა თოვლის მოსვლას ველით
და ზეცისკენ ვიყურებით.
დღეს ამინდი შეიცვალა,
ცა ღრუბელმა დააბნელა,
პალტოებში გამოგვაწყო
ქარმა, ცივად დანაბერმა.
თოვლი მოვა ამიღამო,
გვეუბნება პაპაჩვენი,
ოღონდ თოვლი მოვიდეს და
სხვა ჩვენ ვიცით დანარჩენი.



პეპია ბობი

დავარ გიგინეიშვილი

ამბავია უტყუარი.
მამაჩემის ნამბობი:
აფრიკაში ცხოვრობს ერთი
ზანგი ბიჭი—შავი ბობი.
საბჭოეთი უყვარს თურმე,
დიდი ბურთიც უყვარს ბობის,
არ თამაშობს ომობანას
და არ უყვარს სიტყვა „ბომბი“.

წელს—უმოდგომაზე მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნა გამოჩენილი ოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან 75 წლისთავი.

გთავაზობთ დიდი პოეტის ლექსს.



ზენამ ქვენას შეატოვა—
ბედკარული და დაჩაგრული.
ბედმა თავზე დასცა მეხი,
ულრინა და უქირქილა
ცეკვითა და მანქვა-გრეხით
ბრბოს ართობდა ლუემისთვინა.
მოჩიჩქნიდა მიწას სადმე,
გინდ—წყაროსთან,
გინდ—წისქვილთან,
მივიდოდა ვინმე განგებ,—
გაგდებდა კინწისკვირითა.
ფეხი მაგრად ვერსად დადგა,
მოეცარა ყველგან ხელი...

წავიდა და მწუქმსად დადგა,—
რომ ჰქონოდა რძე და ყველი.
სამწუქემსურში მოხვლის უმალ
იგრძნო—სულ სხვა დახვდა წესი:
გააბრუა ბოსლის სუნმა,
მძიმე ჯავფით გაწუქდა წელში.
სიმღერაა კაცთა მოდგმის
შეგობარი ძველის-ძველი:
გამოთალა ფანდური და...
— მიდი, ბიჭო!—მღერის... მღერის...
რას უმღერა?—ქათქათა მთებს,
კოსტა ვოგოს გაღიმებას...
სიმღერა რომ გაგანათებს,
გულში დარდი გაგილღვება...

ყუბალი

კოსტა ხეთაგუროვი

სანთელივით
მოღვენილი,
მოტეხილი,
მოდრეკილი,—
ზაფხულში თუ ზამთარში,
ზამთარში თუ ზაფხულში,—
ზის მოხუცი სანახშოზე,
განუჟრელი ტყაუჭით,—
ზის და ღორებს აკვნეებს
ბედდამწვარი ყუბადი,—
გულს ჰანგებთ აქეზებს
მეფანდურე უბადლო...

...მთლად პაწია,
მთლად პატარა,
პაწაწინა,
ერთი ციდა—
დარჩა ბედის ანაბარა:
დაობლდა და ცრემლებს ღვრიდა!..
დედამ ძუძუ ვერ აწოვა,
ვერ გაუთბო მამამ გული,



ნახატები თაგავ ხუციშვილისა



რას უმღერდა?—
წრფელი განცდით
შეუყვარდა ყველაფერი...
სიმღერამ თუ გაგიტაცა,—
ცაში ახვალ ფრენა-ფრენით!
გაღიოდნენ ასე ღღინი.—
ბიჭს რა ჰქონდა სადარდელი,
მაგრამ ზოგჯერ ბედი შენი
იქ გიმუხთლებს, ხად არ ელი:
გაიხედა, რას შეხედა,—
აღარ არი ოცი ცხვარი...
უთხარს ბატონს?—ვერ უბედავს!—
შკაცრია და მოსიხსარი.
ერთ ბექობზე დადგა ყინჩაღ,
გადმოთვალა, გადათვალა,
აკლია და რა ქნას ბიჭმა,—
გაუჭურდავთ ალბათ ფარა!..

...
— ხანამდე დროა, გადადი
დიგორში უღელტეხილით,
თორემ ბატონის ლაღღალი
თავს დაგატყდება მუხივით!
აღგა და მართლა წავიდა,
ღღე დაგმო ოხერტალი...
ცხოვრება ისევ თავიდან,
დაიწყო მოხეტიალემ!
ფანდურს უკრავდა ყუბადი,
ბევრი თქმულეზაც გაღლექსა...
ბოლოს—დააგდო ყაბარდო,—
ეწვია თბილის—ქალაქსა!..
მღეროდა ლექსებს ზეპირად,—
ეს დარჩა, აბა, მეტი რა?!—
ხანდახან—უნდა გეცინა!
ხანდახან—უნდა გეტერა!..
მისი ჰანგებით დამწვარი—

ბევრი მსმენელი გაბრუვდა...
ბოლოს—დაბრმავდა საწყალი,—
ისევ სოფელში დაბრუნდა!..

...სანთელივით
მოღვენთილი,
მოტეხილი,
მოღრეკილი,
ზაფხულში თუ ზამთარში,
ზამთარში თუ ზაფხულში,—
ზის მოხუცი სანახაშოზე,
განუყრელი ტყაპუკით,—
ზის და ლარებს აკვენებს,
ბედდამწვარი ყუბადი,—
გულს ჰანგებით აქეზებს,
მეფანდურე უბადლო!..

თარგმნა გივი ძნელაძემ



ცუცქია ზღარბი ციკკუი

ნოდარ კეკელიძე

ნახატები სოფიო კინეზურაშვილისა

ღვარცოფად ქცეული, ტლახისფერი წყალი, გონდაკარგულ ცუცქიას ელვის-სისწრაფით მიაქანებდა საღვაც ხევ-ხუვები-საკენ. ტალღა ხან ქვეშ მოიქცევდა, ხან ზევით, წყლის ზედაპირზე ამოატივტივებდა და აქეთ-იქით უმოწყალოდ მიანარცხ-მოანარცხებდა. ცუცქიას არ ახსოვს რამდენ ხანს ყურყუმალაობდა წყალში, გონს რომ მოეგო და თვალი გაახილა, მისავათებული—შამბნარში ვგდო. აღარც წვიმდა და აღარც წყლის გაავებული, ყურის წამლები გრიალი ისმოდა. როდის-როდის წამოიწია, მიიხედ-მოიხედა და იღბლად გადარჩენილს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მერე თავ-კისერზე ფეხები მიისვ-მოისვა და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

— არა, ნამდვილად ცოცხალი ვარ, ეს რა უბედურება დავატყდა თავს, კაცო, ნეტა სხვები სად არიან, რატომ არ ჩანან? ნუთუ დაიღუპნენ?

ცუცქიამ კისერი წაიგრძელა და რაც ძალი შეესწევდა, დაიძახა:

— ჰე, ჰეი, თორიავ!—ცუცქიას არავინ გამოპასუხებია. ბოლოს წამოდგა, გაიარ-გამოიარა. შიმშილი იგრძნო და სასუსნაგს დაუწყო ძებნა. იქვე, შორიანხლოს, მწვანედ მობიბინე ბლახისაკენ გასუსუნდა, ერთგან ჰიან ვაშლს წააწყდა, ეძგერა და სულმოუთქმელად გადასასწლა, მერე შამბნარს გასცდა, სააშა-რაოზე გავიდა და ერთბაშად—მოშორებით შარაგზა გამოიჩნდა, სადაც უამრავი რახრახა ყუთები ვარბოდ-გამორბოდნენ.

— ეროპა, ეს სად მოვხვდი!—გაიოცა ცუცქიამ,—ვგ ოხერი ყუთი არ იყო, სახლ-კარს რომ დამაშორა და გზა-კვლი ამიბინა?

ცუცქია ელდანაკრავივით უკან გამობრუნდა და ახლა აღმართს შეუყვია. კარგად რომ აივია, დიდ შენობას მიაღწა. ჯერ გარს შე-

მოუბრა, მერე ერთი ხვრელი დალანდა და შიგ სტუცა თავი, ერთხანს ბნელ ხვრელში მიძვრებოდა, ბოლოს, უფეროდ განათდა და ცუცქიამ უზარმაზარ, გაჩახჩახებული დარბაზში ამოჰყო თავი, სადაც უამრავი სკამები ჩაერი-გებინათ. შუა დარბაზში ღომი უკანა ფეხებზე შემდგარიყო და ყურებდაცქვეტილი, გასუსული, დიდულვაშებიან კაცს თვინიერად შესტკეროდა, კაცს გრძელი შოლტი ეკავა და წამდაუწყებ შავრში ატლამუნებდა. შოლტის ტლაშუნზე ღომი საცოდავად მოიკუნტებოდა და დიდულვაშისან სკუპ-სკუპით გარს შემოუვლიდა.

— ვაჰმე!—წამოიყვირა ცუცქიამ,—ამას რას ხედავს ჩემი დასავსები თვალები, ეს ღომია თუ კატა?! რა ხდება, რა აბავია?!

ღომი კუნტრუმს რომ მორჩა, ზევიდან საქანელა ჩამოუშვეს, მხეტთა მეფე ზედ შესტა და საქანელა ნელა გააქანეს: ამასობაში, დიდულვაშებიანს ცეცხლმოკიდებული რგოლი მოუბრუნინეს, კაცმა რგოლი მალღა ასწია და ღომს „ჰოპ“-ო—ასძახა. ღომი დაიძახა, შეიკუმშა და მერე საქანელიდან ცეცხლ-მოკიდებულ რგოლისკენ ისკუპა, ცუცქიამ მისდაუნებურად შეჰკივლა, ღომი რგოლში გაძვრა და დიდულვაშებიანის წინ უენებელი დაეშვა.

— მუსიკა!—შესძახა შოლტიანმა და დარბაზში მუსიკის ხმა დაირხა. ღომმა კვლავ დაიწყო სკუპ-სკუპი და ტანის რხვევა. ღომი ცმპავდა.

— აფსუს, ღომო,—სინანულით ჩაილაპარაკა ცუცქიამ,—ეს რა დღეში ჩაუგდინხარ აღამიანებს, სად არის შენი სიამაყე და რიხინი შემომახილი.

მოულოდნელად ღომს ფეხი დაუცდა, წაბორძიკდა და იატაკზე ტომარასავით გაგორდა. უნდა გენახათ როგორ გამძვინვარდა დიდულვაშებიანი კაცი, ღომს წამოდგომა



არ აცალა, შოლტი დაუნდობლად გადაუტყალაშუნა. ლომი ტკივილისაგან დაიგრინა, დაიზნქა და ყრუდ ამოიგმინა.

— ტყუილად გაქმევ, შე ბანჯგვლიანო, შენა!

ცუტკიას გული აუჩუყდა, თვალთაგან წასკდა ცრემლი. სანახაობას ველარ გაუძლო და იქუთრობას გაშორდა.

— არაშადა!— ბუზღუნებდა ცუტკია,— რა უმოწყალოდ სცემდა.

ცუტკიამ ერთხანს აქეთ-იქით იყილა, ცდილობდა ვინმეს თვალში არ მოხვედროდა, სიფრთხილით გაძვრა-გამოძვრა უშველვებელ ყუთებსა და გალიებს შორის. ის იყო, თვალის წასატყუებლად, სადაღ შეძრომა დააპირა, რომ ნაცნობი ხმა მოესმა:

— ცუტკიავ, ძმობილო!

ცუტკია უკან შემობრუნდა და ელდანაკრავი აღგიღზე გაქვავდა, მის წინ თარია იღგა, მისი მეგობარი და ჭირ-ვარამის გამზიარებელი თარია.

— თარიავ, ბიკო, შენი ჭირიმე!— მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ და ვადაკონენს,— აქ საიდან მოხვდი, ძმობილო?

— ვეშ, ნულარ იკითხავ, ცუტკი!— ამოიოხზრა თარიამ— ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, სწორედ ისეა. ვინც იმ წარღვნას ვადაურჩა, ყველამ აქ მოიყარა თავი!

— მერე და, სადა ვართ, რა ქვეყანაა?

— სადა ვართ და, ცირკში! ისეთი უხიაგი პატრონი გამოგვიჩნდა, თავებელ გვაწყველინებს, მალაყებს გვასწავლის, გვათამაშებს, თოკზე გვკიდებს, გვატუნავებს. არ იხტუნავებ და ვაშიშმიღებს!

— ეს ის, დიდულვაშაა, ლომს რომ უკანა ფეხებზე აყენებს?

— ვე, ჩემო ცუტკი, ნუ გაგიკრდებარემ, უკანა ფეხებზე კი არა, კულზეც დადგები!

— მერე, როდემდე გინდათ აიტანოთ? ან სად გაგონილა ლომის მონობა? ტყის ბინადართ რა პასუხი უნდა გასცეს?

— ლომი მანამდე ლომობს, ვიდრე დაიმინებენ, თორემ დამინებული და დათრგუნული ლომი, რალა ლომია!

— კი, მაგრამ, შენ ხომ არავის ახსოვდი, აქ რისთვის მოხვედი? რა გინდოდა? წადი, ძმობილო, წადი, ვიდრე არავის შეუნიშნებარ, დაბრუნდი ჩვენს ულაშახეს ქვეყანაში, დაბრუნდი და რაც გადაგვხდა, ყველაფერი უამზე ტყის ბინადართ.


— მე წავალ, ჩემო თარიავ, მაგრამ თქვენ? თქვენ რა გეშველებათ, ბოლო ხომ უნდა მოელოს ამ ტანჯვას!

ცუტკიამ დაამთავრა თუ არა ბოლო სიტყვა, ვილაკამ შეყვირა:

— შეხედეთ, ზღარბი!— მერე უღვაშამ ხელი დაავლო. თარიამ ძლივს მოასწრო თავის სოროში შეძრომა.

— ოო, რა ეკლიანი ხარ!— იცინოდა კაცი და ცუტკიას ხორკლზე ხელს უსვამდა.— მაგრამ მაინც გამოგიყენებ.

ცუტკიას ცნობისმოყვარეობამ წასძლია. თავი გამოყო და მოსაუბრეს აპხედა, ზღარბს ელდა ეცა: ზემოდან უღვაშებიანი კაცი დასქტეროდა, რომელსაც დიდი თვალეზი და გრძელი ხელეზი ჰქონდა. ცუტკიას გააქრეოლა, ისევ ბურთივით დამრგვალდა და გაისუსა, იგი დარწმუნდა, რომ უღვაშებიანის მარწუხივით თითებს ვეღარასდ გადაქცეოდა და ზელს დაემორჩილა.



რათვი

მზია ჩხეტიანი

გლიანში დინჯად დიდის
 კებერთელა თუთი დათვი,
 ვანოს სელა,
 ნახოს სელა
 აქვს იმ დრუნხას ერთი თათი!

თან როგორ ჭამს,—
 სასაცილოა!
 თქლფი-თქლფი,
 თქლფი-თქლფი!
 თქუნი უნდა ათი კილო,
 წივლი კიდევ ერთი წაფი!



ყოჩალი

ცირა ჰიტიაშვილი

ერთმა ბეჭმა დედის
 გაუხარა გული,
 თურმე წერს იცის
 ჩაწიწიკებულო.
 თურმე კითხვას იცის
 ჩაწიწიკებულო,
 სიმღერები იცის
 ჩაბულებულებულო,
 იდიქება დედა,
 როგორც გასაფხულო.





„ზამთარი.“ —ნახატი მამუკა მიშიძისა, 7 წლის.



სოფალ ოგალოს (თუხეთი)
სოფლა ინვარანგის
ბავშვთა ნახაზები



„პორტრეტი.“ —ნახატი ნიკა ბორჟონიისა, 9 წლის.




„შემოდგომის მთები.“ —ნაბატი რეზო ძმანაშვილისა, 9 წლის.



„ნისლიანი ღღე.“ —ნაბატი კავთარ ელანიძისა, 10 წლის.



თავსავესი



თავსავესი

შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს მდინარეების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ „ფრიალოსანი“.
შეადგინა ქ. თბილისის № 3 ექსპერიმენტული სა.შ. სკ. მოსწავლემ დათო მაზარაშვილმა.




ნიკოს კნუჭი
ტაგუ მებურთვილი

სად იყო და
სად არ იყო,
კნუჭი მტვერში
გათხვრილიყო,
დაინახა,
წამოხტა და
მტვერსასრუტი ჩართო ნიკომ.
აგრიალდა მტვერსასრუტი,
გახასხსდა ნიკოს კნუჭი.

ქაოჯდა

ზამფა ავაშიძე

თეთრი ფრთოსანი გვეჭირდება,
ზღვის ტალღებზე რომ ფარფატებს,
ანბანის ასოს მეექვსეს
პირველ მარცვალთან ვამატებთ.
მოვაცლით ბოლო ხმოვანს და
უკვე შარადაც მზად არის,
იცოდეთ, ასეთ საჩუქარს
მოგვიტანს მხოლოდ ზამთარი.



Մեծերն



ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა



ეს სიმბოლოები მოსკოვის, 1980 წლის ოლიმპიადაზე იქნება გამოყენებული.



აბა, თუ მიწვდები: სპორტის რა სახეობებია აღნიშნული ამ ნიშნებით.



შეაჯამე ნახატი სოფიო კინცუკაშვილისა

მთავარი რედაქტორი მ. მუსრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ელზარდ ამგოკაძე, ილია ანთელავა, კუპარი გოგიავილი, ლეილა არაძე, ზურაბ ლეჟავალი, (პ/მგ მღვიანი), მანანა კობახიძე, გელა ლოსკაბერიძე, მაცვალა გრავლიშვილი, გიორგი როინიშვილი, (სამხ. რედაქტორი), გივი ძნაღაძე, მერი ნიკლაური, გივი ყიფინაძე.

საპარამეტროს ალექსანდრე მ. ი. ლეონის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რედაქციის ხელისუფლებით

ტექნიკური მდივანი

გამოცემის 58-ე წელი.

საქ. კვ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14, ტელ.: ში. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, პ/მგ მღვიანის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის—83-98-18; განყოფ.—83-98-19; სამდიონისა—93-98-16
გადაეცა სასაწყობოდ 25/IX-79 წ. ხელმოწერილია დასაბუთებლად 5/XII-79 წ., კაბალის ზომის 60x90 სმ., ფიზ. ნაბ. ფურც. 28, ტირაჟი 168.650 შტუკ. № 247. „მედი“ № 12, на грузинском языке. ფასი 20 კაპ.